საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდაჭერის საკითხი აქტუალური გახდა 2011 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ. ამავე პერიოდიდან დაიწყო ევროკავშირის დაფინანსებული პროექტების (TIG, MFM) განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობას და ამ მიმართულებით სახელმწიფო სტრუქტურების პოტენციალის განვითარებას. საქართველოს, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, დაბრუნებულ მიგრანტებზე ზრუნვა განესაზღვრა ვალდებულებად ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიც იყო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დღის წესრიგი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, 2015 წლიდან დამოუკიდებლად, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით დაიწყო სამშობლოში ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი რეინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამის განხორციელება, ხოლო 2018 წლის სექტემბრიდან კი, აღნიშნული სამინისტროს გაუქმების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის მხარდაჭერა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციაში გადავიდა და ასევე, მისი მხარდაჭერით განხორციელდა საკმოდ წარმატებული სერვისების მიწოდება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. აღნიშნული მიდგომა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა: პირველ რიგში, უზრუნველყოფდა პროგრამის ბენეფიციართათვის სარეინტეგრაციო დახმარების სწრაფად და მოქნილად მიწოდებას ტერიტორიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მეშვეობით, ასევე ამ პროცესში გამჭვირვალობის მიღწევასა და სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. 2016-18 წლების

სარეინტეგრაციო პროგრამაში სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია "ტოლერანტი", რომელმაც შიდა ქართლის ორგანიზაცია „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრთან“ ერთად სარეინტეგრაციო პროგრამის ფარგლებში წარმატებით განახორციელა უკვე სამი პროექტი სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში.

უკანასკნელი 2017-18 წლებში განხორციელებული პროექტების ფარგლებში სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში დარეგისტრებულ იქნა სულ 174 ბენეფიციარი, ხოლო შედარებითი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებიდან დეპორტირებულთა და არალეგალურ მიგრანტთა დაბრუნების რიცხვი გაიზარდა, როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე შიდა ქართლში. შესაბამისად, მომართვიანობამაც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მოიმატა. მაგ. თუ შევადარებთ ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკას : 2016- წლის დეკემბრის მდგომარეობით, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მონაცემებით დარეგისტრირებული იქნა სულ 50 ბენეფიციარი, 2017-18 წლის ბოლომდე 174 ბენეფიციარი, 2019 წლის დასაწყისში რეინტეგრაციის პროექტის დასრულების შემდგომ მომართვიანობა და რეგისტრაცია კვლავ გრძელდებოდა და უკვე, მომსახურეობას ელოდება ერთი თვის განმავლობაში დარეგისტრირებული 20 ზე მეტი ბენეფიციარი. მიგრანტთა პრობლემები საქართველოს ყველა რეგიონში ანალოგიურია. განსაკუთრებით: ჯანმრთელობის მდგომარეობა, მძიმე სოციალური ფონი, ფსიქოლოგიური ტრავმა. არალეგალურ ემიგრაციაში მყოფი ადამიანები წლების განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ სამშობლოს, ახლობლებს, შვილებს, მშობლებს. შემდგომ, მათი დაბრუნების შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ სამშობლოში ბრუნდებიან, უფრო მეტი პრობლემები ხვდებათ, ესაჭიროებათ მათთვის უკვე გაუცხოებულ ახალ გარემოში, ოჯახებთან ხელახალი ინტეგრაცია. ჩვენს მიერ უკვე განხორციელებული რეინტეგრაციის პროექტის შედეგების მიხედვით ემიგრაციის ქვეყნები სამცხე-ჯავახეთიდან და შიდა ქართლიდან წასული ემიგრანტებისთვის ძირითადად გახლავთ ევროპის ქვეყნები: საბერძნეთი, გერმანია, შვეიცარია, შვეცია, ბელგია, ფინეთი, ისრაელი, კვიპროსი, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ნიდერლანდები. პოსტსაბჭოთა ქვეყნები: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, თურქეთი და ერაყი. 2017 წლის ბაზის მონაცემებით მიგრანტების გეოგრაფიას დაემატა ნორვეგია, დანია, პანამა, გახშირდა დეპორტაციის ფაქტები თურქეთიდან და რუსეთიდან.

იმის გამო, რომ ემიგრაციის დიდი ნაწილი არალეგალურია, არც დღეს არ გვაქვს ზუსტი სტატისტიკა თუ, რამდენი ადამიანია გასული ამ ორი რეგიონიდან საზღვრებს გარეთ. ჩვენი მუშაობის სპეციფიკიდან და დაკვირვებიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ ორივე რეგიონში ყოველ მესამე ოჯახს ჰყავს ერთი წევრი მაინც გასული სამუშაოებზე ლეგალურად ან, არალეგალურად. უკვე განხორციელებულმა პროექტებმა დაგვანახა აგრეთვე ისიც, რომ ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ მომართვიანობაში სტატისტიკურად მოიმატა უფრო ახალგაზრდა მიგრანტი მამაკაცების, ქალბატონების და არასრულწლოვანი ბავშვების რიცხვმაც. არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევებიც, რომ არალეგალურად საქართველოს მოქალაქეები

ოჯახებთან ერთად 7-10 წელიც კი ცხოვრობდნენ ემიგრაციაში, თუმცა მაინც ვერ მოიპოვეს ოფიციალური მოქალაქეობა, ან ცხოვრების უფლება, ამიჯომ ასეთი ოჯახების დეპორტიაციაც ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდგომ დაიწყო უფრო ინტენსიურად უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. დიდი ხნით ქართულ გარემოს მოწყვეტილ ოჯახებს ძალიან უჭირთ რეინტეგრაცია, განსაკუთრებით, უცხოეთში დაბადებულ ბავშვებს, რომლებიც ეუფლებოდნენ იმ ქვეყნების ენებს, სწავლობდნენ სკოლებში და დაბრუნებისას ძალიან უჭირთ ხელახლა მშობლიური ენის ათვისება. მისასალმებელია ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნებში კვლავაც პრიორიტეტად რჩება სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებზე ზრუნვა და ამ მიმართულებით საქმიანობის გაფართოება და გაძლიერება. ნებისმიერ შემთხვევაში, მიგრანტთა სარეინტეგრაციო პროგრამა ითვალისწინებს როგორც დაბრუნებულთა საზოგადოებაში ინტეგრაციას, ამასთანავე, განმეორებითი მიგრაციის პრევენციასაც.

მიგრანტთა პრობლემები დაბრუნების შემდეგ:

- გაუცხოება და ფსიქოლოგიური ბარიერი, არსებულ საზოგადოებასთან ხელახალი შეგუება, კანონმდებლობის ახალი რეგულაციების არცოდნა, სხვა ქვეყანაში მიჩვეული ცხოვრების წესიდან კვლავ თავის ქვეყნის ტრადიციებსა და წესებზე გადმოსვლა-შეგუება, დიდი ხნით მოწყვეტილ ოჯახთან, განსაკუთრებით მეუღლეებთან და გარდამავალ ასაკში მყოფ, ან უკვე გაზრდილ შვილებთან შეგუება. მათ უმრავლესობას, ფაქტიურად ხელახლა უწევს ახალ გარემოში ცხოვრების დაწყება. ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, არც თუ იშვიათია ოჯახს დიდი ხნით დაშორების და გაუცხოების გამო, ოჯახების დაანგრევის ფაქტებიც.
- დაუსაქმებლობა და პროფესიების არ ქონა. რადგან უმეტეს შემთხვევაში, საზღვარს გარეთ ცხოვრება, მიგრანტებს პროფესიას არ აძლევს, მათი დიდი ნაწილი ფიზიკურად შრომობდა და მძიმე, მომვლელისა და სხვა სახის ფიზიკურ სამ¸ ,შაოებს ასრულებდა, ამის გამო, ისინი პროფესიის გარეშე არიან დაბრუნებულები, ხოლო ის პროფესიები, რომელიც საქართველოში ჰქონდათ მანამდე შეძენილი, დავიწყებული და გამოუსადეგარი გახდა მათთვის ემიგრაციაში ყოფნის დროს.
- მიგრანტთა დიდ ნაწილს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, ოჯახს მოწყვეტილი მიგრანტი ცდილობს ყველაფერი გააკეთოს, რომ მეტი ანაზღაურება მიიღოს, ოჯახს დაეხმაროს და ამის გამო, თავის ჯანმრთელობას არ აქცევს ყურადღებას. არალეგალს არ აქვს სამედიცინო დაზღვევა, მკურნალობა კი, ლეგალიზაციის გარეშე შეუძლებელია მრავალ ქვეყანაში. დაზღვევის გარეშე ემიგრაციის ქვეყნების კერძო კლინიკებში მკურნალობა საკმაოდ ძვირია და მიგრანტებს არ გააჩნიათ ჯანდაცვის სფეროს ხელმისაწვდომობა. მიგრანტ ქალთა დაავადებების დიდი რისკ ფაქტორებია: ქალური გინეკოლოგიური დაავადებები, ძუძუს კიბო, გულ-სისხლძარღვთა, სახსრების და სხვადას·ვა სახის სიმსივნური დაავადებები. ხელმისაწვდომი არ არის მათთვის ძვირადღირებული მედიკამენტები. ხშირ შემთხვევაში,

უსახსრობის გამო ისინი არ აკითხავენ სამედიცინო დაწესებულებებს, რაც, არც თუ იშვიათად ლეტალური შედეგებით სრულდება.

- მიგრანტების დიდი ნაწილი ბრუნდება საქართველოში, ისე, რომ არანაირი კაპიტალი არ გააჩნია, რადგან მისი ანაზღაურება ხმარდება ვალების გადახდას და ოჯახის წევრების დახმარებას, ამის გამო, მათ თვითდასაქმებისა და ბიზნესის დასაწყებად არავითარი სახსრები არ გააჩნიათ. მათთვის ელემენტარული საშემოსავლო პროექტების დაფინანსება და თვითდასაქმებაში ხელშეწყობა, საზოგადოებაში რეინტეგრაციის ყველაზე კარგი მაგალითია.
- ჩვენს მიერ დარეგისტრირებული ბენეფიციარების საჭიროებების გამოვლენამ გვაჩვენა აგრეთვე, რომ მეტ-ნაკლებად გაიზარდა იმ ბენეჯიციარების რაოდენობაც, რომლებსაც ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ არ აქვთ საცხოვრებელი, უხდებათ ბინის დაქირავება ან, შეხიზნულები არიან ახლობლებთან და მეზობლებთან.

ასოციაცია „ტოლერანტი“ შიდა ქართლში მოქმედი პარტნიორი ორგანიზაციის: „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის“ ჩართულობით 2019-20 წლების რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, მოემსახურება სხვადასხვა სერვისებით სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლიდან მიგრანტებს დაუფინანსდება სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები მინიმუმ 8 ბენეფიციარს, მათ შორის, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში მოხდება მინიმუმ 10 ბენეფიციარის რეფერირება. მათ შორის, პროფესიული სწავლების დაფინანსებით ისარგებლებს მინიმუმ 3 ბენეფიციარი. დაახლოებით 16 დაბრუნებულ მიგრანტს (ინ.ქაივიდუალური, მიგრანტთა ჯგუფური პროექტი, ან ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის სახით 5 ბენეფიციარს) დაუფინანსდება საშემოსავლო პროექტები, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

2. <u>პროექტის მიზანი:</u>

წარმოდგენილი პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ემიგრაციაში არალეგალურად მყოფი სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის წარმატებით უზრუნველყოფას სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლის რეგიონებში. შესთავაზოს პროგრამით გათვალისწინებული ისეთი სერვისები, რომლებიც მიგრანტებს დაეხმარება საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის, მათ წინაშე წარმოშობილი სირთულეების გადალახვის, ჯანმრთელობის და სამშობლოში იძულებით დაბრუნების გამო გამოწვეული ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებაში. გარდა ამისა, ხელი შეუწყოს მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს, აწარმოოს ორივე რეგიონში საინფორმაციო კამპანია, საზოგადოების ინფორმირება. ხელი შეუწყოს პროექტის ბენეფიციარების საზღვარგარეთ არალეგალურად, განმეორებით წასვლის შემდგომი რისკების პრევენციას.

3. <u>პროექტის განხორციელების გზები:</u>

პროექტის ამოცანებია: შიდა ქართლში და სამცხე-ჯავახეთში დაბრუნებული მიგრანტებისათვის:

- სამედიცინო მომსახურებით და მედიკაციენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის, ფსიქო-სოციალური დახმარების საჭიროებების გამოვლენა და რეაბილიტაცია;
- საშემოსავლო პროექტების დაფინანსება;
- პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობა;
- პროფესიული სწავლების დაფინანსება;

ბენეფიციარების შერჩევა და საჭიროებების იდენტიფიცირება

პროექტის განხორციელების 10 თვის განმავლობაში ერთ-ერთი უმთავრესი აქტივობა ორივე რეგიონში ბენეფიციარის შერჩევისა და მომსახურეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. მიგრანტების მომართვის შემდეგ, მოხდება ორივე ორგანიზაციის--ასოციაცია „ტოლერანტის“ (სამცხე-ჯავახეთში) და „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის (შიდა ქართლი) ოფისებში მიგრანტების კონსულტირება პირადი ინტერვიუების, გასაუბრების მეთოდის გამოყენებით. ბენეფიციარის გაცნობა და მისი მონაცემების დადგენილ კრიტერიუმებთან იდენტიფიცირება, პროგრამის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდება, ბენეფიციარის რეინტეგრაციის საჭიროებების იდენტიფიცირება და პროექტის ფარგლებში დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა. მოხდება ბენეფიციართან ერთად რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შესაბამისად, რეინტეგრაციის გეგმის განსახორციელებლად სამომავლო აქტივობების დაგეგმვა. მოხდება მოპოვებული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია. (ბენფიციართა მომსახურეობის დეტალური სქემა თან ერთვის საპროექტო განაცხადს)

საშემოსავლო პროექტების დაფინანსების უზრუნველყოფა

მიგრანტების პროფესიიდან, ცოდნიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შემოსავლის წყაროს გაჩენის, თვითდასაქმების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე ტიპის საშემოსავლო პროექტების დაფინანსება. კერძოდ : ინდივიდუალური - პროექტის დაფინანსება მოხდება ინდივიდუალურად თითოეული ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად, ერთობლივი პროექტები - რამდენიმე ბენეფიციარის ერთი პროექტის ქვეშ გაერთიანება და არსებულ ეკონომიკურ საქმიანობებში ბენეფიციართა ჩართვა, რაც გულისხმობს პროექტის დაფინანსებას არსებულ ეკონომიკურ საქმიანობებში ბენეფიციარის ჩართვის/დასაქმების მიზნით. ამ ამოცანის განხორციელებისთვის შემუშავებულია სქემის სახით რამდენიმე ეტაპი:

საშემოსავლო პროექტების კონსულტირება:

ბენეფიციარის პროფესიიდან, ცოდნიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე, შემოსავლის წყაროს გაჩენის, თვითდასაქმების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე ტიპის საშემოსავლო პროექტის დაფინანსება. ბენეფიციართან გასაუბრების და მათი საჭიროებების იდენტიფიცირების შემდეგ, დაიწყება ბიზნეს კონსულტანტის დახმარებით, საშემოსავლო საპროექტო განაცხადის (ინდივიდუალური, ერთობლივი, არსებულ ეკონომიკურ საქმიანობებში ჩართვის) მომზადების პროცესი.

ბიზნეს კონსულტანტი, როგორც შიდა ქართლში, ასევე სამცხე-ჯავახეთში ბენეფიციარებთან ერთად გაივლის კონსულტაციებს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი იდეის, შესაძლებლობების, საქმიანობის, ან პროექტის მდგრადობის, კვალიფიციურობის კომპონენტებს. მოხდება განაცხადის დეტალური განხილვა და შედგენა, განაცხადის შევსების ხარისხის შემოწმება, განაცხადში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალის შეთანხმება (ინდივიდუალური, ერთობლივი, ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობის მოთხოვნათა გათვალისწინებით), წინასწარი მონიტორინგი ადგილზე, განაცხადის საბოლოო ვერსიის შემუშავება, განხილვისათვის საჭირო დოკუმენტების პაკეტის მომზადება.

საშემოსავლო საპროექტო განაცხადის განხილვა:

განხილვა მოხდება კომისიური წესით-ორსაფეხურიანი სისტემით. პირველ საფეხურზე კომისიის წევრების მიერ მოხდება განაცხადების გადარჩევა, ხოლო მეორე ეტაპზე შერჩეული განაცხადების საბოლოო, არსებითი განხილვა კომისიური წესით და მათ მიერ შემუშავებული შეფასებების კრიტერიუმებით. სულ გეგმით გათვალისწინებულია და ჩატარდება ორი განხილვა. ამასთანავე შესაძლებელია დაინიშნოს მესამე, ან, მეოთხე განხილვა განაცხადების ნაკადის და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

პროექტების განმხილველი კომისია

პროექტის მართვის ჯგუფის მიერ, პროექტის დაწყების პირველივე თვეში შეირჩევა საშემოსავლო პროექტების განმხილველი კომისია, როგორც წამყვანი და პარტნიორი ორგანიზაციის, ისე მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით. შემუშავდება კომისიის მუშაობის დებულება კომისიის წევრების მონაწილეობით. აგრეთვე საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები: იდეის რეალურობა, პროექტის სიცოცხლის უნარიანობა (მდგრადობა), პროექტის დაწყება/განახლების წინაპირობები, კვალიფიციური უნარ-ჩვევები და პროფესიული გამოცდილება, იდეის განხორციელებისთვის დახმარების საჭიროება და ა. შ. განხილვის შედეგები გაფორმდება კომისის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით კომისიის სხდომის ოქმის სახით.

პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება:

გაიცემა პროექტების დაფინანსება 500-დან 4000-ლარამდე, დაფინანსების ფაქტობრივი ოდენობა გათვალისწინებული იქნება საპროექტო იდეის(ების) რეალიზაციისათვის საჭირო თანხებზე, გაფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულ ბენეფიციარსა და გრანტის გამცემს შორის, დაფინანსება გაიცემა გრანტის სახით და საბოლოოდ, მოხდება საშემოსავლო საპროექტო განაცხადში ასახული საქონლის/მომსახურების შეძენა ასოციაცია „ტოლერანტის“ მიერ.

შესყიდვების განხორციელება

შესყიდვის განსახორციელებლად ბენეფიციარი წარმოადგენს ინვოისს, (მეწარმე ფიზიკური ან, იურიდიული პირისგან) ან, ფიზიკური პირის „განაცხადს გაყიდვაზე“. ბენეფიციარი ინვოისის ან ,გაყიდვაზე განაცხადის ორიგინალს წარმოადგენს კონსულტანტთან (ინვოისი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული, ხოლო განაცხადი გაყიდვაზე - გამყიდველი ფიზიკური პირის მიერ ხელმოწერილი, საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით. შესყიდვა განხორციელდება ნაღდი ან, უნაღდო ანგარიშსწორებით. ჯგუფური პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, პროექტის ფარგლებში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები შესყიდული იქნება ეკონომიკური აქტივობის მფლობელისთვის ბენეფიციარის წილობრივი შემოსავლის ან, დასაქმების სანაცვლოდ. ანგარიშსწორების ფორმა დამოკიდებული იქნება შესასყიდი საქონლის/მომსახურების სახეზე.

მონიტორინგი:

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ორივე რეგიონში ორი სახის მონიტორინგი: 1. წინასწარი მონიტორინგი (პრემონიტორინგი) ბენეფიციარის შესაძლებლობის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. საქმიანობის პროცესში მოხდება საჭირო კონსულტაციების გაწევა კონსულტანტის დახმარებით. 2. ჩატარდება შუალედური მონიტორინგი ხელშეკრულების გაწევიდან 6 თვის განმავლობაში. თითეული მონიტორინგის შედეგებზე მომზადდება ანგარიშში და აისახება მონაცემთა ბაზაში.

პროექტის ფარგლებში სულ დაფინანსდება საშემოსავლო პროექტით მინიმუმ 16 ბენეფიციარი. ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ გამარჯვებულ ბენეფიციარებს ჩაუტარდებათ ტრენინგები თემაზე: „ბიზნესის ეფექტურად მართვის ძირითადი პრინციპები“, რომელიც მოიცავს შემდეგ საკიხებს: ბიზნეს-იდეის და პროდუქციის/მომსახურების აღწერა. საწარმოო გეგმა; ბაზრის ანალიზი და მარკეტინგული გეგმა; მარკეტინგის არსი, ძირითადი ცნებები: საჭიროება, მოთხოვნილება, მოთხოვნა; ბიზნესის მდებარეობის და გარემოებების ანალიზი; ფასი-პროდუქციის/მომსახურეობის თვითღირებულება და ფასწარმოქმნა; ფინანსური დაგეგმარება, პროექტის დაფინანსების წყაროები (საკუთარი და მოზიდული კაპიტალი), მოგება-ზარალის ანგარიში, საბალანსო ანგარიში; ბიზნესის ეკონომიკური მაჩვენებლები (ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება). ბიზნეს-რისკების ანალიზი და შეფასება. (ბენეფიციარის საშემოსავლო პროექტების კონსულტირებისა და ბიზნეს-ტრეინიგის სქემა და კონცეფცია თან ერთვის განაცხადს).[i]

სამედიცინო მომსახურეობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა:

მომსახურეობის შედგომი ეტაპი დაეთმობა სამედიცინო მომსახურეობისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას გამოკვეთილი სამედიცინო საჭიროების მქონე ბენეფიციარებისათვის: კერძოდ:

კონსულტაციების პროცესში პროექტის ასისტენტების მიერ მოხდება:

- ბენეფიციარის ინფორმირება პროექტის ფარგლებში სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობებისა და პროცედურების შესახებ.
- მიეწოდება ამასთანავე ინფორმაცია მოქმედი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების შესახებ და პროექტის ფარგლებში პროექტის მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს აღნიშნულ პროგრამებში ბენეფიციარების ჩართვაში დახმარების გაწევას. ბენეფიციართან კონსულტაციების და პროექტის ფარგლებში საქმიანობები დაეთმობა ამ მიმართულებთ მწვავე, ქრონიკული ან/და სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირებისათვის ყველა სახის საჭირო სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფას, მათ შორის მედიკამენტო^ური მკურნალობის დაფინანსებას. ამ სერვისის განხორციელებისათვის შესაძლებლობების ფარგლებში შეირჩევა პროვაიდერი აფთიაქები და გაფორმდება მათთან ხელშეკრულებები.
- სამედიცინო მომსახუროების უზრუნველყოფის პროცესში გათვალისწინებული იქნება ყველა წინაპირობა, რასაც საპროექტო განაცხადის მოთხოვნები ითვალისწინებს.
- სამედიცინო მომსახურეობის დაფინასება, განხორციელება ბენეფიციარის მიერ სამედიცინო მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა 100) წარმოდგენის შემდეგ. მოხდება წარმოდგენილი დოკუმენეტაციის შესაბამისად კონკრეტული მომსახურების იდენტიფიცირება და დაფინანსების პროცესის დაწყება. საჭიროებების შემთხვევაში ჩვენს მიერ გამოყენებული იქნება ჯანდაცვის სამინსტროს ცხელი ხაზიც.
- სამედიცინო მომსახურეობების უფრო მოქნილად და რაციონალურად განხორციელების მიზნით გაფორმდება პროვაიდერ კლინიკებთან გრძელვადიანი ხელშეკრულებები

ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროებების გამოვლენა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, კონცეფცია, მეთოდოლოგია:

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტის სამედიცნო მომსახურების ერთ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ფსიქო-სოციალური დახმარების საჭიროებების გამოვლენა, რეაბილიტაცია. ამ სერვისის განხორციელებაში ჩაერთვებიან მოწვეული კვალიფიციური, სერთიფიცირებული ფსიქოლოგები

სერვისის მიზანია ბენეფიციართა სოციალური ადაპტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების აღდგენის ხელშეწყობა.

ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო მომსახურეობა განხორციელდება ისეთი მეთოდით, რომელიც იძლევა საშუალებას, მომსახურება მაქსიმალურად მიესადაგოს ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ფსიქოლოგის მიერ მიერ ბენეფიციარის საჭიროების შეფასება;
- მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შედგენა;
- სერვისის განხორციელება, ფსიქოლოგიური სეანსები
- მომსახურების შედეგების შეფასება.

ბენეფიციარის საჭიროების შეფასება და ინდივიდუალური გეგმის შედგენა გულისხმობს ფსიქოლოგის მიერ ბენეფიციარის ინდივიდუალური პრობ-ემების გამოყოფას და მათი გადაჭრის რეალური გზების დასახვას.

ფსიქოთერაპიული სეანსები:

- ინფორმაციის მიწოდებისა და პირობების შექმნა:
- ფსიქოლოგთან კომუნიკაცია- კონკრეტული გარემოებებით ცხოვრების სირთულეებისა და პროდუქტიული არსებობის დასაძლევად;
- ფსიქოლოგიური მოდელის ფარგლებში გამოყენებული ფსიქოთერაპია, მიზნად ისახავს ბენეფიციარის დახმარებას პიროვნების ცვლილებაში სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაში, რომელიც არ არის ფსიქიკური ავადმყოფობის გამოვლინებები.
- ფსიქოლოგიური სეანსები კონკრეტულად მიმართული იქნება ბენეფიციარის ემოციების მართვის უნარის გაუმჯობესებისათვის გამოყენებ-ული იქნება სხვადასხვა ტიპის უკვე აპრობირებული ტესტები ”შულტეს ცხრილი”,”10 სიტყვის მეთოდი”,”არსებითი ცნების განსაზღვრა“, რომელიც ხელს შეუწყობს პაციენტის ემოციური ტკივილის მოხსნას, აგრესიის შემცირებას, საკუთარ თავში დარწმუნებას, მოუხსნის შიშებს და შფოთვას, გაუცხოებას, რაც თანამდევია დიდი ხნის მანძილზე უცხოეთში არალეგალურად მცხოვრები ადამიანებისათვის.
- სეანსების დასასრულს ფსიქოლოგის მიერ მოხდება მომსახურეობის შეფასება. შეფასება გულისხმობს ბენეფიციარის მდგომარეობის თვისობრივ შეფასებას – რამდენად გაუმჯობესდა გარემოში ადაპტაციის, სტრესისადმი ტოლერანტობის, შრომისუნარიანობის, ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრის უნარი და სხვა.

მიგრანტთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

შემდეგი აგრეთვე მნიშვნელოვანი ამოცანა მიგრანტთა პროფესიული მომზადება გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობაა. პროექტის ფარგლებში კალენდარული გეგმის მანძილზე სისტემატურად მოხდება პროექტის ასისტენტების ჩართულობით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების

სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის კონსულტაციები და საქმიანობები. კონსულტაციების პროცესში მოხდება ინდივიდუალურად, ბენეფიციარის ცოდნის, კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების, ასევე მათი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით პროფესიული სწავლების მიმართულებების გამოკვეთა და პროფესიული მომზადება გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ბენეფიციარისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება; საჭიროების შემთხვევაში, www.worknet.gov.ge-ზე დარეგისტრირებაში დახმარების გაწევა. დახმარება გაეწევა არანაკლებ 10 ბენეფიციარს.

შემდგომი დახმარება ამ სფეროში იქნება აგრეთვე პროფესიული სწავლების დაფინანსება

პროექტის განხორციელების პროცესში შესაძლებლობის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ შერჩეული პროფესიის შესაბამისად მოხდება მათი პროფესიული სწავლების დაფინანსება მოკლევადიან (4 თვემდე) სასწავლო პროგრამებში სახელმწიფო ან კერძო სასწავლო დაწესებულებებში. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო-სასწავლო პროფესიულ კოლეჯებში არ აღმოჩნდა ისეთი პროფესია, რომელიც ბენეფიციარის მიერ იქნება შერჩეული, არახელსაყრელი სასწავლო ვადები, ან სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღება უჭირს ბენეფიციარს პროფესიული კოლეჯიდან მისი შორს ცხოვრებისა და ტრანსპორტის შეზღუდვის გამო, მაშინ პროექტის ფარგლებში ხელშეკრულება გაფორმდება თავისივე მუნიციპალიტეტში შერჩეულ კერძო სასწავლო დაწესებულებებს, ან შესაბამისი ხელობის სპეციალისტებს და ბენეფიციარი მასთან გაივლის გადამზადებას. სწავლების პროცესში განხორციელდება შესაბამისი მონიტორინგი. პროექტის ფარგლებში დაფინანსდება მინიმუმ 3 ბენეფიციარი.

საინფორმაციო კამპანია: პროექტის განხორციელების განმავლობაში ერთ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის ორივე სამიზნე რეგიონებში იქნება საინფორმაციო კამპანია, მოეწყობა შეხვედრები მოსახლეობასთან, გაშუქდება ადგილობრივი ტელევიზიებით და რადიოთი. საზოგადოების ინფორმირების და რეგიონებში მცხოვრები მიგრანტების მოზიდვის მიზნით, პროექტის განმხორციელებელი ასოციაცია „ტოლერანტი“ პარტნიორთან ერთად გამართავს პროექტის პრეზენტაციებს ორივე რეგიონში, სადაც მოწვეული იქნებიან რეგიონების მასმედიის, ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგნიზაციები, მიგრანტები და მათი ოჯახების წევრები. პრეზენტაციის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება სოციალური ქსელებით, ორივე ორგანიზაციის ვებ.გვერდებით, ადგილობრივი ტელევიზიებით, პირადი შეხვედრებით. დაიბეჭდება საინფორმაციო ფურცლები და დაურიგდება მოსახლეობას ინფორმაციის მისაღებად.

4. <u>პროექტის რისკები</u>

პროექტის განხორციელებას თან ახლავს თავისი რისკებიც

- ბენეფიციართა არასწორი მოტივაცია
- საჭიროებების არასწორადშერჩევა
- საშემოსავლო პროექტების კონსულტაციებისა და დაფინანსების შემთხვევაში განხორციელების შესაძლებლობების არასწორი შეფასება, როგორც ბენეფიციარის, ისე კონსულტანტის მხრიდან
- ბენეფიციარების მხრიდან ე.წ. :ფულის გათეთრების" რისკები
- სარეინტეგრაციო პროგრამასთან დაკავშირებული რისკების პრევენციაში აქტიურად მონაწილეობის რესურსების არარსებობა
- განმეორებითი მიგრაცია პროექტის განხორციელების პროცესში;

რისკების თავიდან ასაცილებლად საჭიროა პროექტის მართვის გუნდის მიერ თავიდანვე ბენეფიციარების საჭიროებების კვალიფიციური განსაზღვრა, ბენეფიციარის მხარდაჭერის წინაპირობების სწორი წინასწარი იდენტიფიცირება, პროექტის ამოცანების სწორი დაგეგმვა და სიტუაციის რეალური გაანალიზება, მონიტორინგის სწორი დაგეგმვა

5. <u>ბიუჯეტი:</u>

<u>ბიუჯეტი განაცხადს თან ერთვის დანართი # 3 ის სახით</u>

6. <u>პროექტის მოსალოდნელი შედეგები მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში:</u>

პროექტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები:

- შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში დახმარება მიიღო 25 მა მიგრანტმა
- სოციალური ბიზნესის პროექტი დაუფინანსდა 16 ბენეფიციარს, მათ შორის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობა 5 ბენეფიციარს.
- სამედიცინო - ფსიქოლოგიური მომსახურეობა ჩაუტარდა 8 ბენფიციარს
- პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაში ჩართულია 10 ბენეფიციარი.
- პროფესიული განათლება მიიღო 3 მა ბენეფიციარმა
- ამაღლდა მოსახლეობის ცნობიერება მიგრაციის პროცესებთან დაკავშირებით
- განხორციელებულმა საქმიანობებმა ხელი შეუწყო განმეორებითი მიგრაციის პრევენციას
- დასაქმდა და საკუთარი ბიზნესით შემოსავალი მიიღო მინიმუმ 16 მა ბენეფიციარმა.

- სწავლება და ტრენინგი თემაზე "ბიზნესის ეფექტური მართვის ძირითადი პრინციპები" გაიარა 16-20 მა ბენეფიციარმა

7. <u>შეფასება:</u>

<u>შეფასების ინდიკატორები</u>

- რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართული მიგრანტების რაოდენობა
- გაწეული სამედიცნო, კვლევითი, კონსულტაციებისა და მედიკამენტოზური მკურნალობის სერვისების რაოდენობა
- ფსიქო-სოციალური დახმარებების რაოდენობა
- დასაქმებული მიგრანტების რაოდენობა
- ტრენინგზე დამსწრე ბენეფიციარების რაოდენობა
- დაფინანსებული საშემოსავლო პროექტების რაოდენობა
- დაფინასებული საშემოსავლო პროექტების განხორციელებაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა
- საინფორმაციო შეხვედრებისა და პრეზენტაციების რაოდენობა
- პროექტის განხორციელების პროცესში გადაღებული ფოტო და ვიდეო მასალა, ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელებში გაზიარებული ინფორმაციების რაოდენობა
- მოსახლეობის ინფორმირების პროცესში პრეზენტაციებზე და შეხვედრებზე დამსწრე საზოგადობის წევრთა რაოდენობა

8. <u>ორგანიზაციის გამოცდილება:</u>

სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ასოციაცია „ტოლერანტს“გააჩნია მრავალწლიანი გამოცდილება არა მარტო რეგიონში, არამედ მთლიანად საქართველოს მასშტაბით და განხორციელებული მრავალი წარმატებული პროექტის განხორციელების. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფები მისი დაარსების წლიდან იყო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, ყოფილი პატიმრები, რეპატრირებული მესხები, ახალგაზრდა პრობაციონერები, ქალები, შშმ პირები. ბენეფიციარების ინტეგრაციისა და რესოციალიზაციის საქმიანობები იყო ძირითადად ასოციაცია "ტოლერანტის" მთავარი მიმართულება წლების განმავლობაში. ორგანიზაციას განხორციელებული აქვს 23 პროექტი, რომელთა დონორები იყვნენ: ევროკავშირი, მერსი ქორფსი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, შვეიცარიის საელჩო, აშშ საელჩოს დემოკრატიის პროგრამა პოლონეთის კულტურის სამინისტრო, „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი“, საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და სხვა. საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნია აგრეთვე პარტნიორ ორგანიზაციას „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრს“ რომელიც ბაზირებულია გორში. მისი მთავარი მიმართულებები აგრეთვე არის მოწყვლადი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალური დახმარების საქმიანობების ხელშეწყობა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უკანასკნელი სამი წლის 2016-2018 წლების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამების საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისა და პროექტების განხორციელების გამოცდილება ასოციაცია ტოლერანტმა 2016-18 წლის თებერვალში პარტნიორთან „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრთან“ ერთად სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში განახორციელა წარმატებული პროექტები. სამივე განხორციელებული პროექტის ფარგლებში სარეინტეგრაციო ბაზაში დარეგისტრირებულია სულ 174 ბენეფიციარი: მათ შორის, მიიღო სოციალური პროექტის დაფინანსება 71 ბენეფიციარმა, დაუფინანსდა სამედიცინო ფიქოლოგიური დახმარება 21 ბენეფიციარს, მათ შორის, ფსიქოლოგიური-12, მედიკამენტები - 18 ბენეფიციარს, www.worknet.gov.ge-ზე დარეგისტრირდა სულ 29 ბენეფიციარი. ბენეფიციარების გენდერული შემადგენლობაა: 68 ქალი, 116 მამაკაცი, ასაკი 20-დან 40 წლამდე 65 ბენეფიციარი, 41-70 წლამდე 124 ბენეფიციარი. დაფინანსებული სოციალური პროექტები დღემდე წარმატებით აგრძელებენ საქმიანობებს. რეინტეგრაციის პროექტები საკმაოდ წარმატებული იყო, ორივე ორგანიზაციამ მიიღო დიდი გამოცდილება სარეინტეგრაციო პროგრამაში ჩართვით. სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობამ მიიღო რეინტეგრაციის პროგრამის შესახებ ინფორმაცია და ხელი შეეწყო მიგრანტთა ხელახალი ემიგრაციის პრევენციას.

9. <u>ადამიანური რესურსი:</u>

პროექტში ჩართულია ასოციაცია „ტოლერანტისა“ და პარტნიორი ორგანიზაციის " კეთილდღეობისა და განვითარების "ცენტრის" წარმომადგენელი თანამშრომლები:

პროექტის კოორდინატორი -ცირა მესხიშვილი პ/ნ 47001010432 -პროექტის კოორდინაცია, დაგეგმვა, ფინასური პასუხისმგებლობა, ხელშეკრულებების გაფორება ხელმოწერა, შესყიდვებში მონაწილეობა, ანგარიშების მომზადება. პროექტის კოორდინატორს, ცირა მესხიშვილს აქვს დიდი გამოცდილება 2016-17 წლებში განხორციელებული მიგრანტთა დახმარების პროგრამის ორი წარმატებული პროექტის ხელმძღვანელობის.

თამარ სამსონიძე -პროექტის ასისტენტი პ/ნ 47001033999 სამცხე-ჯავახეთი) ინტერვიუ, ბენეფიციარის საჭიროების იდენტიფიცირება, ბაზაში მუშაობა ბენეფიციარების კონსულტირება, მონიტორინგი

ფიქრია ბრეგვაძე - პროექტის ასისტენტი (შიდა ქართლი) პ/ნ 59001007082 -ინტერვიუ, ბენეფიციარის საჭიროების იდენტიფიცირება, ბაზაში მუშაობა ბენეფიციარების კონსულტირება, საშემოსავლო პროექტების კომისის მუშაობაში მონაწილეობა, წინასწარი და შუალედური მონიტორიგი შიდა ქართლის რეგიონში.

ლია ზედგინიძე- კონსულტანტი(ბიზნესის საკითხებში) პ/ნ 47001015898, ინტერვიუ, ბენეფიციარის საჭიროების იდენტიფიცირება, ბიზნეს კონსულტაციები, დახმარება საშემოსავლო პროექტების კონსულტირება- მომზადებაში, ტრენინგის ჩატარება, მონიტორიგი.

ფინანსური მენეჯერი - ინგა ბანკანაშვილი-კიკნაძე პ/ნ 47001023586 პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა, ფინანსური გადარიცხვები, შესყიდვები, ფინანსური ანგარიშების მომზადება.

მძღოლი - არმენაკ კიურკჩიანი პ/ნ 47001010436 - პროექტის მართვის ჯგუფის მომსახურეობა კონსულტაციებზე, პრემონიტორინგებზე ადგილებზე გასვლით ორგანიზაციის ავტომანქანით, მონიტორინგებზე, შესყიდვებზე გასვლები ორივე რეგიონში. (პროექტში ჩართული 6 მონაწილის CV თან ერთვის)

პროექტის ძირითად საშტატო განაწილებას არ მიეკუთვნება ფსიქოლოგი, რადგან მათი მოწვევა ბენეფიციარების მოთხოვნაზე და სურვილზეა დამოკიდებული, მაგრამ პარტნიორ ორგანიზიაციას ჰყავს კვალიფიციური, გამოცდილი ფსიქოლოგი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი მყისიერი ჩართვა პროგრამაში.

---

i

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება
საგრანტო პროგრამა

საგრანტო პროგრამის მიმართულების N:	0200	საგრანტო პროგრამის მიმართულება:	სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; საშემოსავლო პროექტების დაფინანსება; პროფესიულიმომზადებაგადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.
საგრანტო პროგრამის რეგიონული დაფარვა:	სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი		

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

ორგანიზაციის სრული დასახელება	სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
სამართლებრივი ფორმა რეგისტრაციის თარიღი ხელახალი რეგისტრაცია	კავშირი 31/012001, 15/12/2003
იურიდიული მისამართი	ახალციხე, რუსთაველის ქ # 44/47
ელ-ფოსტა	asociacia.toleranti@gmail.com
ტელეფონი	+995599513622 +995365220586

ორგანიზაციის ხელმძღვანელი	პროექტის ხელმძღვანელი
სახელი, გვარი ცირა მესხიშვილი მისამართი, 0800, ახალციხე,რუსთაველის ქ 47	სახელი, გვარი ცირა მესხიშვილი მისამართი, ახალციხე, შ. წიქვაძის ქ 6
ელ-ფოსტა tsirameskh@gmail.com, asociacia.toleranti@gmail.com	ელ-ფოსტა tsirameskh@gmail.com
ტელეფონი +995599513622, +995365220586	ტელეფონი+995599513622, +995365221475

პროექტის დაწყების თარიღი[1]:	15.05.2019	პროექტის დასრულების თარიღი:	15.03.2020
მოთხოვნილი თანხის ოდენობა[2]:	96 250 ლარი	პროექტის სრული ბიუჯეტი[3]:	96 250 ლარი

თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი:

[1] რიცხვი, თვე, წელი
[2] ეროვნულ ვალუტაში
[3] შესაძლოა, განსხვავდებოდეს მოთხოვნილი თანხის ოდენობისგან თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში.

1	თავფურცელი	
2	დანართი #1. საგრანტო წინადადება	7. ორგანიზაციის რეგისტრაციის დოკუმენტი
3	დანართი #2 სამოქმედო გეგმა	8. წესდება დამოწმებული ნოტარიულად
4	დანართი # 3 ბიუჯეტი	9. რეკომენდაცია პარტნიორის
5	პროექტში ჩართულ პირთა რეზიუმეები(სულ 6(CV)	10. ბენეფიციარის მომსახურეობის სქემა
6	ამონაწერი დავალიანების არქონის შესახებ	11. მემორანდუმი პარტნიორთან.

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა) _____ 30.04.2019 (რიცხვი, თვე, წელი)